ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №757

3 დეკემბერი 2010 წელი ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის გიორგი თევდორაძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-ქალაქ ქუთაისის მერის გიორგი თევდორაძის წერილი 2.12.2010წ. №კ-11122; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 4-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მტმ"-ის დირექტორისმერაბ გეწაძის სახით (მისამართი: ქ. თერჯილა, ლესელიძის მე-2 შეს. №2, ტელ: 899 587748; ს/კ 431945078, ს.ს „საქართველოს ბანკი-ს" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101502; ა/ა 972619500) (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ქ.ქუთაისში ლადო ასათიანის ქუჩის №50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დაზიანებული გადახურვის გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვა - სავარაუდო ღირებულებაა 3500 (სამიათასხუთასი) ლარი.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან „მიმწოდებლის" მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, თანხმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტების და წესების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები.

„შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს გაწეული სამუშაოების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. სამუშაოს შესრულების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს.

3. გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოებს შეასრულებს მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე

4.2. „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა

ბ) ფაქტიურად გაწეული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება

გ) მიმწოდებლის დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში გაწეული სამუშაოების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა.

4.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.4.ანგარიშსწორების ვადაა სამუშაოს შუალედური და/ან საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღე.

4.5. ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1046 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

4.6 „მიმწოდებლის" მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „შემსყიდველი" განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან მისი

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულების არაუმეტეს 30-50 პროცენტის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს შესრულების დასრულებამდე.

5. სამუშაოს შესრულების ვადები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2010 წლის 30 დეკემბრამდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" სამუშაოების მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2010 წლის 30 დეკემბრამდე.

6.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიურად გაწეული სამუშაოების დადასტურების შემდეგ.

6.3 გაწეული სამუშაოების დამტკიცებას ინსპექტირების ჯგუფის დასკვნისა და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

6.4 მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან მისი შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულების არაუმეტეს 30-50 პროცენტის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

81.1 შესასრულებელ სამუშაოთა თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში 1000 (ათასი) ლარის ოდენობით

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუწაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

გიორგი თევდორაძე
ქალაქ ქუთაისის მერი

(მიმწოდებელი)

მერაბ გეწაძე
შ.პ.ს. „მტმ"-ის დირექტორი

(შემსყიდველი)